

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება ტურიზმისა და  
კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარის  
2015 წლის 4 სექტემბრის №20 ბრძანება**

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2010  
წლის 19 ივლისის N21 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და არასამეწარმეო იურიდიული  
პირის - ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების - ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2006 წლის 14 დეკემბრის N90 დადგენილებით დამტკიცებული ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის დებულების მე-3 მუხლის „გ<sup>1</sup>“ პუნქტის, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 თავის, 61-ე მუხლის საფუძველზე ვბრძანებ:

1.ძალადაკარგულად გამოცხადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2010 წლის 19 ივლისის N21 ბრძანებით დამტკიცებული არასამეწარმეო იურიდიული პირის - ბათუმის ტურისტული სააგენტოს დებულება.

2.დამტკიცდეს არასამეწარმეო იურიდიული პირის - ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს თანდართული დებულება.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დეპარტამენტის თავმჯდომარე

მამია ბერძენიშვილი

**თავი I. ზოგადი დებულებანი**

**მუხლი 1. რეგულირების სფერო**

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) წესდება განსაზღვრავს სააგენტოს ორგანიზაციასა და სტრუქტურას, აგრეთვე აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. სააგენტო მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად, რომელიც აგრეთვე დამოუკიდებლად ახორციელებს სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული მიზნების შესაბამის საქმიანობას.

**მუხლი 2. სააგენტოს სტატუსი**

1. სააგენტო არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი და უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდანაც მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს სააგენტოს მიზნების რეალიზებას. სააგენტო არ არის წევრობაზე დაფუძნებული პირი.

2. სააგენტო დაფუძნებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ, ვის წინაშეც სააგენტო არის ანგარიშვალდებული.
3. სააგენტო იქმნება განუსაზღვრელი ვადით.
4. სააგენტოს უფლებამოსიანობა წარმოიშობა მისი რეგისტრაციის მომენტიდან და წყდება ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შესახებ მარეგისტრირებელ ორგანოსთვის გადაწყვეტილების წარდგენის საფუძველზე.
5. სააგენტო თავისი მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებისთვის იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს, შეუძლია სასამართლოსა და არბიტრაჟში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.
6. სააგენტოს აქვს დებულება, ბეჭედი, დამოუკიდებელი ბალანსი, საკუთარი ხარჯთაღრიცხვა და სათანადო ანგარიში სახელმწიფო ხაზინაში, საბანკო ანგარიშები და სტატუსის განმსაზღვრელი სხვა შესაბამისი რეკვიზიტები.
7. სააგენტოს შეიძლება ჰქონდეს ემბლემა. სააგენტოს ემბლემა შეიძლება გამოყენებულ იქნეს სააგენტოს თანამდებობის პირთა და მოხელეთა სავიზიტო ბარათებზე, აგრეთვე ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებზე.
8. სააგენტოს იურიდიული მისამართია: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. N84/86. საიდენტიფიკაციო კოდი: 445 388 054

## თავი II. სააგენტოს ამოცანები, უფლებამოსილება და ვალდებულებები

### მუხლი 3. სააგენტოს ამოცანები და მიზნები

#### 1. სააგენტოს ამოცანები და მიზნებია:

- ა) ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების შექმნა და განვითარება;
- ბ) ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებისა და დაინტერესებულ პირთა ინფორმაციული უზრუნველყოფა;
- გ) საინფორმაციო-სარეკლამო მასალების შექმნა და გავრცელება;
- დ) საინფორმაციო ტურისტული ცენტრების მუშაობის ეფექტურობის ზრდა;
- ე) ასევე სხვა ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც აკრძალული არ არის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ხელს უწყობს სააგენტოს მიზნების განხორციელებას.

### მუხლი 4. სააგენტოს უფლებამოსილება

დაკისრებულ ამოცანათა შესასრულებლად სააგენტო უფლებამოსილია:

- ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაამყაროს ურთიერთობა საქართველოს და საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან;
- ბ) შეიმუშავოს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ გამოყოფილი ასიგნებების გამოყენების პირობები;
- გ) შექმნას და განავითაროს ტურისტული პროდუქტები და სერვისები;
- დ) ხელი შეუწყოს არსებული სამეცნიერო-პრაქტიკული პოტენციალის გამოყენებასა და განვითარებას;

- ე) განახორციელოს ტურისტული პროდუქტისა და სერვისის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებები
- ვ) დაამზადოს საინფორმაციო ბროშურები, ტურისტული რუკები, გზამკვლევები და სხვა სარეკლამო მასალები;
- ზ) გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ სასამართლოში;
- თ) განახორციელოს დებულებითა და კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები;

### **მუხლი 5. სააგენტოს ვალდებულებები**

ტურისტული მომსახურებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სააგენტო ვალდებულია:

1. შექმნას ახალი ტურისტული პროდუქტი და განავითაროს მასთან დაკავშირებული სერვისები.
2. არსებულ ტურისტულ პროდუქტებზე განახორციელოს მომსახურების ხარისხის ამაღლების აქტივობები და მოახდინოს მომსახურების ხარისხის მონიტორინგი.
3. მიაწოდოს ინფორმაცია ტურისტებს და სხვა დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს აჭარის ტურისტული პოტენციალის შესახებ, არსებული ტურისტული ობიექტების, სერვისების, ტარიფებისა და საკონტაქტო ინფორმაციის შესახებ, აგრეთვე რეგიონში დაგეგმილი კულტურული, სპორტული და გასართობი ღონისძიებების შესახებ;
4. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტს წერილობითი ფორმით მოახსენოს ასიგნების კვარტალური განაწილების შესახებ.

### **თავი III სააგენტოს ხელმძღვანელობა და მართვა**

#### **მუხლი 6. სააგენტოს მართვა**

1. ა(ა)იპ ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელობს სააგენტოს დირექტორი (შემდგომში - სააგენტოს დირექტორი), რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავჯდომარე.
2. დირექტორის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობისას ან/და მისი ადგილზე არყოფნის შემთხვევაში დირექტორის მოვალეობას ასრულებს სააგენტოს დირექტორის მიერ დანიშნული სააგენტოს რომელიმე განყოფილების უფროსი.

#### **მუხლი 7. სააგენტოს დირექტორის უფლებამოსილება**

##### **1. სააგენტოს დირექტორს უფლება აქვს:**

- ა) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცეს ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტი - ბრძანება;
- ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესითა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში დადოს შრომითი და სხვა ხელშეკრულებები (გარიგებები), ხელი მოაწეროს სააგენტოს ფინანსური სახსრების განკარგვისა და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებს;
- გ) სააგენტოს საქმიანობიდან გამომდინარე ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება;
- დ) დასახული მიზნის მისაღწევად დაამყაროს შრომითი სამართლებრივი ურთიერთობები ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავჯდომარის მიერ განსაზღვრული საშტატო განრიგის შესაბამისად;

- ე) მოითხოვოს თანამშრომლებისაგან დაიცვან მოქმედი კანონმდებლობით, დებულებითა და შინაგანაწესით განსაზღვრული მოთხოვნები;
- ვ) წარმოადგინოს სააგენტო მესამე პირთან ურთიერთობაში და იმოქმედოს მისი სახელით;
- ზ) დაამტკიცოს სააგენტოს შინაგანაწესი;
- თ) ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თანხმობით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 36-ე მუხლისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განკარგოს სააგენტოს საკუთრებაში არსებული ქონება, თუ ქონების განკარგვა ხელს უწყობს სააგენტოს საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებასა და მიზნების (ამოცანების) განხორციელებას;
- ი) განახორციელოს მისთვის მოქმედი კანონმდებლობით და წინამდებარე წესდებით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი;

**2. სააგენტოს დირექტორი ვალდებულია:**

- ა) დაიცვას მოქმედი კანონმდებლობით, დებულებითა და შინაგანაწესით განსაზღვრული მოთხოვნები;
- ბ) დაიცვას სააგენტოს ინტერესები, იზრუნოს მის გამლიერებასა და განვითარებაზე;
- გ) ყოველ კვარტალურად მიაწოდოს ინფორმაცია ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტს სააგენტოში არსებული მდგომარეობის თაობაზე.
- დ) სააგენტოს სახსრების ეფექტურად განკარგვის მიზნით მჭიდროდ ითანამშრომლოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტთან და სხვა შესაბამის სამსახურთან.

**თავი IV. სააგენტოს სტრუქტურა და უფლებამოსილებანი**

**მუხლი 8. სააგენტოს სტრუქტურა**

- 1. ა(ა)იპ ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო შედგება სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოებისაგან - საინფორმაციო ცენტრებისაგან, რომელთა მეშვეობით სააგენტო უზრუნველყოფს თავისი უფლებამოსილების განხორციელებას.
- 2. სააგენტოს სტრუქტურული ერთეულებია:
  - ა) ადმინისტრაციული განყოფილება;
  - ბ) ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განყოფილება;
  - გ) საინფორმაციო ცენტრების მართვის განყოფილება;
  - დ) საფინანსო-ეკონომიკური განყოფილება;
- 3. სააგენტოს ტერიტორიული ორგანოებია:
  - ა) ტურისტული საინფორმაციო ცენტრები (შემდგომში - საინფორმაციო ცენტრი), რომელსაც კოორდინაციას უწევს სააგენტოს საინფორმაციო ცენტრების მართვის განყოფილება;

**მუხლი 9. სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებანი**

- 1. სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულებს ხელმძღვანელობს განყოფილების უფროსები, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ანთავისუფლებს სააგენტოს დირექტორი.
- ა) ადმინისტრაციულ განყოფილებას მიეკუთვნება:
  - ა.ა. სააგენტოს საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
  - ა.ბ. სააგენტოს საკადრო საკითხების დარეგულირება, თანამშრომელთა თანამდებობაზე დანიშვნის, გათავისუფლების, გადაყვანისა და თანამშრომელთა წახალისების შესახებ მასალების მომზადება და სააგენტოს დირექტორისათვის წარდგენა, აგრეთვე სააგენტოში მუშაობის დამადასტურებელი ცნობის გაცემა.

ა.გ. სააგენტოში შემოსული კორესპონდენციების აღრიცხვა, დამუშავება და განაწილების უზრუნველყოფა. საქმისწარმოების და დასრულებული საქმეების დოკუმენტაციის აღრიცხვა, დამუშავება და სათანადო წესით შენახვა (დაარქივება).

ა.დ. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;

ა.ე. სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა. ორგანიზება, განხორციელება და კანონით გათვალისწინებული ანგარიშგების წარმოება.

ა.ვ. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემა;

ა.ზ. სააგენტოს ბალანსზე რიცხული ქონების მოვლა-პატრონობა;

### **ბ) ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განყოფილება:**

ბ.ა. ახდენს ტურისტული მარშრუტების დამუშავებას;

ბ.ბ. უზრუნველყოფს ტურისტული პროდუქტისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას;

ბ.გ. უზრუნველყოფს ტურისტული ინდუსტრიის სერვისის გაუმჯობესებისათვის საჭირო მცირეინფრასტრუქტურის შექმნას;

ბ.დ. ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ტურისტული ადგილებისა და ღირსშესანიშნაობების მისასვლელებთან საინფორმაციო დაფებისა და საგზაო ნიშნულების განთავსებასა და მონიტორინგს;

ბ.ე. მონაწილეობას იღებს სარეკლამო და საინფორმაციო ხასიათის მასალების დამუშავებასა და გავრცელებაში;

ბ.ვ. უზრუნველყოფს აჭარის მაღალმთიან ნაწილში მომსახურების სფეროში დასაქმებული პერსონალისათვის სემინარების და ტრენინგების ჩატარებას მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით;

ბ.ზ. უზრუნველყოფს საინფორმაციო ტურების დაგეგმვასა და ორგანიზებას;

### **გ) ტურისტული საინფორმაციო ცენტრების მართვის განყოფილება:**

გ.ა. კოორდინაციასა და ზედამხედველობას უწევს ტურისტული საინფორმაციო ცენტრების მუშაობას;

გ.ბ. საინფორმაციო ცენტრების თანამშრომლებს შორის ახორციელებს უფლებამოსილებების დელეგირებას, სააგენტოს დირექტორთან შეთანხმებით განსაზღვრავს ცენტრის თანამშრომელთა ტრენინგსა და გადამზადების საჭიროებას;

გ.გ. ახორციელებს ერთიან, მუდმივად განახლებადი მონაცემთა ბაზის დამუშავებას;

გ.დ. საინფორმაციო ცენტრის თანამშრომელთა ეფექტური და ხარისხიანი მუშაობის კონტროლის მიზნით, ახორციელებს მათზე მონიტორინგს.

გ.ე. უზრუნველყოფს საინფორმაციო-სარეკლამო მასალების შექმნასა და გავრცელებას;

### **დ) საფინანსო-ეკონომიკურ განყოფილებას მიეკუთვნება:**

დ.ა. ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების უზრუნველყოფა კანონმდებლობით დადგენილი წესით;

დ.ბ. კონტროლის განხორციელება ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებაზე;

დ.გ. კონტროლის განხორციელება ეკონომიკურ მოვლენაზე დროულად და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დოკუმენტების გაფორმებაზე;

დ.დ. მომუშავეთა შრომის ანაზღაურების და სხვა გასაცემლების დროული დარიცხვა და კონტროლი გაცემაზე;

დ.ე. სააგენტოს ბიუჯეტის პროექტის მომზადება;

დ.ვ. კანონით გათვალისწინებული სხვა საქმიანობის განხორციელება;

## თავი V. ფინანსები

### მუხლი 10. დაფინანსების წყაროები

1. სააგენტოს დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:
  - ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი;
  - ბ) დამხმარე სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი;
  - გ) გრანტები და შემოწირულობები;
  - დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროებიდან მიღებული შემოსავლები;
2. სააგენტოს ნებისმიერი შემოსავალი უნდა მოხმარდეს მისი ამოცანებისა და მიზნების განხორციელებას. დაუშვებელია სახსრების სხვა მიზნით გამოყენება.
3. სააგენტოს საფინანსო საქმიანობას წარმართავს (ბუღალტრულ აღრიცხვა-ანგარიშგებას აწარმოებს) ბუღალტერი, რომელიც ანგარიშვალდებულია სააგენტოს დირექტორის წინაშე.
4. სააგენტოს წლიურ ხარჯთაღრიცხვას განსაზღვრავს დირექტორი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

### მუხლი 11. აღრიცხვა-ანგარიშგება, რევიზია.

სააგენტოს საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგება და რევიზია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## თავი VI. ა) ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს ქონება და სახელმწიფო კონტროლი

### მუხლი 12. ქონება

1. სააგენტოს დასახული მიზნების განსახორციელებლად მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად გადაეცემა სახელმწიფო ქონება.
2. სააგენტოს ქონებას შეადგენს მის მფლობელობაში არსებული ძირითადი და საბრუნავი საშუალებები, საფინანსო რესურსები, რომელიც აისახება სააგენტოს დამოუკიდებელ ბალანსში.

### მუხლი 13. კონტროლი

1. სააგენტოს სახელმწიფო კონტროლი, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას, განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 33-ე მუხლისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**თავი VII. რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია,  
წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა**

**მუხლი 14. რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია**

1. სააგენტოს სამართლებრივი ფორმის შეცვლა დაუშვებელია, ხოლო დაყოფა და გაერთიანება (შერწყმა) წარმოებს მეწარმე სუბიექტის რეორგანიზაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. სააგენტოს ლიკვიდაცია ხორციელდება:
  - ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის გადაწყვეტილებით;
  - ბ) სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე;
  - გ) გაკოტრებისას;
  - დ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38<sup>1</sup>-ე მუხლის შესაბამისად.

**მუხლი 15. წესდებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის წესი**

წესდებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.